



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49240545

თარიღი:23/02/2024

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4824050184; 19/02/2024) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხა

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
		122,0	
	ადმინისტრაცია	18,00	
1	დირექტორი	1	2400
2	დირექტორის მოადგილე	1	1694
4	ადმინისტრაციის უფროსი	1	1100
5	ბუღალტერი	1	1320
7	საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1	1100
8	მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი	1	1100
9	მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორის თანაშემწე	1	825
10	შესყიდვების მართვის კოორდინატორი	2	1100
11	სამართლებრივი უზრუნველყოფის მართვის კოორდინატორი	1	1045
12	შიდა მონიტორინგის მართვის მენეჯერი	1	1265
13	შიდა მონიტორინგის მართვის კოორდინატორი	1	990
14	საფინანსო-ეკონომიკური მართვის კოორდინატორი	2	1078
15	დარაჯი	3	605
16	დამლაგებელი	1	550
	დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის სერვისი	89	
17	დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის მენეჯერი	1	1078
18	მუშების კოორდინატორი	1	968
19	მეეზოგეთა კოორდინატორი	3	968
20	აბონენტთა მომსახურების მართვის კოორდინატორი	4	825
21	მძღოლი	13	1100
22	მუშა	28	990
23	მეეზოვე	39	825
	ცენტრალური პარკის ზედმხედველობის სერვისი	15	
24	ცენტრალური პარკის ზედმხედველობის მენეჯერი	1	1078
25	მეეზოგეთა კოორდინატორი	1	968
26	მეეზოვე	12	825
29	დამლაგებელი	1	594